ა მ ო ნ ა წ ე რ ი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 სექტემბრის სხდომის

№ 18 ოქმიდან

I. საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად, დოკუმენტი „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2020-2023 წლებისათვის“, საქართველოს მთავრობის მოხსენება „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „გ. კაკაურიძის, ც. ყავლაშვილის და ნ. გაგუას საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, დოკუმენტზე „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2020-2023 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მომხსენებლებად დანიშვნის შესახებ“ (მომხსენებელი საქართველოს ფინანსთა მინისტრი ი.მაჭავარიანი)

---

1. მოწონებულ იქნეს „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად, დოკუმენტი „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2020-2023 წლებისათვის“, საქართველოს მთავრობის მოხსენება „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს განსახილველად.

2. მიღებულ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.

საქართველოს პრემიერ–მინისტრი — გ.გახარია

საქართველოს მთავრობის
ადმინისტრაციის უფროსი — კ.ვახიშვილი